



**საკანონმდებლო  
სამსახური  
ადმინისტრაციულ საქმეზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

**კანონმდებელი: შპნოშპნა-1**

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ.27/29, 2 სართული, ბინა 13
	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <b>შპნოშპნა-2</b>

ალტერნატიული მისამართი <b>შპნოშპნა-3</b>	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	2 292 773	მობილური	2 223 874
სამსახურის ტელ.		ფაქსი	greenalt@greenalt.org
			ელექტრონული ფოსტა

**კანონმდებლის წარმომადგენელი: შპნოშპნა-4**

ნინო გუჯარაიძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	01015010047	0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ.27/29, 2 სართული, ბინა 13
	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, 2 სართული, ბინა 13		
	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	2 292 773	მობილური	599 902 520
სამსახურის ტელ.		ფაქსი	2 223 874
			ngujaraidze@greenalt.org
			ელექტრონული ფოსტა

**მოწინააღმდეგე მხარე: შპნოშპნა-5**

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო სახელი, გვარი (სახელწოდება)		0114, თბილისი, გულუას ქ.№6
	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <b>შპნოშპნა-6</b>

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	2 727 224	მობილური	2 727 234
სამსახურის ტელ.		ფაქსი	press@moe.gov.ge
			ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი: შპნოშპნა-7**

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

**შპნოშპნა-8**

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge)  
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

## განსაზიარებული გადაწყვეტილება

შპ60'336A-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	ნანა ჭიჭილეიშვილი
საქმის ნომერი:	№33/917-12
მიღების თარიღი:	2012 წლის 19 დეკემბერი

### გადაწყვეტილებას განსაზიარებ:

სრულად

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

შპ60'336A-10

### საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

შპ60'336A-11

# კანონის საფუძვლები (მიზანმიმართული)

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შ3607365-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

## დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შ3607365-13 შ3607365-14

1) სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სსკ-ის 390.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით. ამდენად, მითითებული ნორმის დანაწესის მიხედვით სააპელაციო სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაშიც შეამოწმოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და შესაბამისად დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების მოტივების, სააპელაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ სრული სიზუსტით გადმოიწერა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

3) სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, „ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, არ შეაფასა საქმეზე სპეციალისტების ჩვენებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სრულყოფილად და ყოველმხრივ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მტკიცებულებები მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია, რითაც უხეშად დაირღვა აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

4) სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ საფუძველზე. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი („ეროვნული პარკი“), რომლის თანახმად დაუშვებელია ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამავე კანონის 5.1 მუხლი, რომლის თანახმად „ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის“ და 5.3 მუხლი, რომლის თანახმად იმპერატიულად არის განსაზღვრული, თუ რა ზონები შეიძლება მოეწყოს ეროვნულ პარკში, რა მიზნით ეწყობა თითოეული მათგანი და რომ ეროვნულ პარკში მოსაწყობი არც ერთი ზონა არ ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და "დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში (მე-6 მუხლი) 2012 წლის 28 მარტს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უდავოდ არის დადასტურებული, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულია ზემოაღნიშნული კანონის მითითებული ნორმები. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით და მოქმედი კანონმდებლობით დადასტურებულია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის დროისათვის მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, შესაბამისად სასამართლოს დასკვნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას იმის გათვალისწინებით, რომ 2.64 ჰა ტერიტორია აღარ ექვემდებარება დაცული ტერიტორიებისათვის დადგენილი სპეციალური დაცვის რეჟიმს ამდენად, აპელანტის მიერ მითითებული გარემოება ვერ განიხილება კანონის ისეთ დარღვევად, რაც შეიძლება განხილეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არასწორია და უკანონო. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა პირდაპირ მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ასოციაცია მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით უარი თქვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ვინაიდან წინამდებარე დასკვნით ცალსახად დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა გასაჩივრებული აქტის კანონიერება არც მატერიალური და არც ფორმალური თვალსაზრისით.

5) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "დაცული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონის 20.4 მუხლი, რომლის თანახმად, ნებისმიერი დაცული ტერიტორიის კატეგორიის (მათ შორის, ეროვნული პარკის) ფარგლებში იკრძალება „(ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სხვა სახის შეცვლა; (ბ) ექსპლუატაციის ან სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება, ამოღება, რღვევა, დაზიანება...“. უდავოა, რომ ჰიდროელექტროსადგურისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობისთვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება გამოიწვევს ეროვნული პარკის ტერიტორიის რეჟიმის დარღვევას და წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით

დასჯად ქმედებას. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლი - დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა) და ამავე კანონის 45-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან“; ამავე კანონის 46.2 მუხლს, რომლის თანახმად, „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს“; ამავე კანონის 53.1 მუხლს, რომლის თანახმად, „საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ცვლილებებს და მის დეგრადაციას“. დადგენილი და დადასტურებულია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მოიცავდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილს. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას და მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველსაც სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს, რომელიც სასამართლომ არასწორად ან საერთოდ არ შეაფასა და შედეგად საქმეზე გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება.

6) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის" შესახებ“ საქართველოს კანონის 10.2 და 10.3 მუხლები, რომლის თანახმად: „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა. "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე შესაძლო მავნე ანთროპოგენური ზეგავლენის მოხდენის გათვალისწინება საგალებულოა: (ა) „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას... ამავე კანონის 11.1 მუხლი, რომლის თანახმად, „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა“. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა მოხდა ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც გამოიწვევს ამ ტერიტორიაზე არსებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის არათუ შემცირებას, არამედ განადგურებას. მიუხედავად ამისა, ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლო მაინც მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის გამოცემული კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის შესაბამისად შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ბათილად ცნობის საფუძველი, რაც არასწორია და დადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონდარრღვევით, მიკერძოებული გადაწყვეტილების გამოტანას.

7) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლი და განსახილველ საქმეში მესამე პირად არ ჩააბა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №46 ბრძანებით იქნა დამტკიცებული განახლებადი ენერჯის პოტენციური ნუსხა, რომელშიც მოხსენიებულია დარიალის ჰესი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო აცხადებს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოში განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამონახტვის თაობაზე, აგრეთვე სწორედ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიმართა ამავე სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსმა 2011 წლის 3 თებერვალს მოხსენებითი ბარათით და აცნობა მას პოტენციური ჰესების და სხვადასხვა დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების, ეროვნული პარკების, მინერალური წყლების საბადოების ტერიტორიების და სხვადასხვა სახის ინჟინრული ნაგებობებისა და კომუნიკაციების ურთიერთგადაკვეთის შესახებ და აქედან გამომდინარე განახლებადი ენერჯის პოტენციური ნუსხიდან დარიალის ჰესის ამოღების აუცილებლობის შესახებ. მაშასადამე, საქმის მასალებით დადგენილია მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინტერესებთან შემხებლობის არსებობა. სააპელაციო სასამართლომ რიგით მეშვიდე სასამართლო სხდომაზე 2012 წლის 29 ნოემბერს დასვა საკითხი განსახილველ საქმეში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მესამე პირად ჩაბმის შესახებ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს საქმე არ ჰქონდა შესწავლილი საფუძვლიანად აღნიშნულ საკითხზე არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

8) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლი და ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე მტკიცებულების სახით დართული საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის შესახებ, რაც წარმოადგენდა დარიალის ჰესთან დაკავშირებით სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესის დაწყების საფუძველს, ასევე არ გაითვალისწინა ამავე საკითხზე გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭანჭიას მიერ სასამართლოსათვის მიცემულ განმარტება (იხ. 2012 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმი. გვ. 15-16). სასამართლომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმებისას საერთოდ არ იმსჯელა რამდენად იყო დასაშვები ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დაფუძნება საქართველოს მთავრობის იმ განკარგულებაზე, რომელიც გამოცემულია "დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-20, 45-ე, 46-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით და არ შეესაბამება დასახელებულ კანონს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სწორად გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა და დაედგინა მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საჯარო უფლებამოსილების კანონშეუსაბამობა, რაც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

\*\*\*\*\*

# პრიტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

მ8607863-15 მ8607863-16

## 1. პრეტენზია

არც საქალაქო სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანების გამოცემისას ჰესის სადერივაციო მილსადენის განთავსების დერეფანი, სალექარი და სადერივაციო გვირაბის შესასვლელი პორტალი განთავსებული იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ტერიტორიაზე.

დასაბუთება:

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროისათვის ზემოაღნიშნული ტერიტორია შედიოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში, "დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" კანონის 5.3 მუხლის თანახმად ტრადიციული გამოყენების ზონის მოწყობა ხდება ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის და არა ჰესის მშენებლობისათვის. ამ ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშემე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება. ამდენად, ჰესის მშენებლობა არ წარმოადგენს ტრადიციული გამოყენების ზონის მოწყობის მიზანს და არც ამ ტერიტორიაზე კანონით დასაშვებ საქმიანობას. სასამართლომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ გამოიკვლია სრულად და არ მისცა მას სწორი შეფასება, რამაც შედეგად საქმეზე არასწორი და უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა.

## 2. პრეტენზია

არც საქალაქო სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ საქმიანობის განმახორციელებლის - შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ დაირღვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის მოწყობის წესები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დაუდგენლობამ განაპირობა სააპელაციო სასამართლოს უკანონო დასკვნა მასზე, რომ შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ დაცულია "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6-7 მუხლების მოთხოვნები, რაც არასწორია.

დასაბუთება:

არც საქალაქო სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ საქმიანობის განმახორციელებლის - შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ დაირღვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის მოწყობის წესები, რაც გამოიხატა შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების არასრულყოფილი ანგარიშის გამოქვეყნებაში - ადგილობრივი მოსახლეობისათვის და დაინტერესებული პირებისათვის ცნობილი არ იყო, რომ დარიალის ჰესის მშენებლობა მოიცავდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიას და შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს და მისი პარტნიორი ორგანიზაციის "სტეფანწმინდა"-ს მიერ წარდგენილი ერთობლივი შენიშვნების განუხილველობაში. საქმეში არ მოიპოვება და ვერც მხარის მიერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება საქმიანობის განმახორციელებლის - შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ საჯარო განხილვისას და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის დროისათვის წარდგენილი გზშ-ს ანგარიშების იდენტურობა, წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ვერსიებით კი უდავოდ არის დადასტურებული საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანის ფაქტის არსებობა. საქმეში ასევე არ მოიპოვება საჯარო განხილვისას ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს და მისი პარტნიორი ორგანიზაციის "სტეფანწმინდა"-ს ერთობლივი შენიშვნების განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა არც ეს წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.1.17 და 4.1.18 პუნქტებში წარმოდგენილი შემდეგი დასკვნების გასაკეთებლად: არ დასტურდება შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ ორპუნის კონვენციის მოთხოვნათა არსებითი დარღვევა, შპს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ დაცულია "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6-7 მუხლების მოთხოვნები. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ არსებითად დარღვეულია "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6-7 მუხლების მოთხოვნები, ხოლო "ორპუნის" კონვენციის მოთხოვნები საერთოდ არ ვრცელდება საქმიანობის განმახორციელებელზე.

### 3. პრეტენზია

სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ მოცემულ შემთხვევაში შეიზღუდა მოსარჩელე ასოციაცია მწვანე ალტერნატივას უფლება მონაწილეობა მიეღო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით დაწესებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.6 პუნქტით ისე მიიჩნია დადგენილად, რომ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 18.11.2011 წ. №605 წერილით ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ეცნობა გარემოს დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით შპს "დარიალი ენერჯი"-ს 110 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის განთავსების გზშ-ს ანგარიშის წარმოდგენისა და აღნიშნულზე 2011 წლის 17 ნოემბერს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომ არ გამოარკვია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 18.11.2011წ №605 წერილი როდის ჩაბარდა ასოციაცია მწვანე ალტერნატივას და რომ ასოციაციის მიერ ამ წერილის 30.11.2011წ ჩაბარებით დაცულია თუ არა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენისა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სწორად დადგენის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ უნდა დაედგინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სზა-ის 10.3 და მე-13, 95-ე, 98-ე მუხლების დარღვევის არსებობა.

### 4. პრეტენზია:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.21 პუნქტით არასწორად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზა წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისის №515 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მომზადებული და გამოცემულია ამ წესის არსებითი დარღვევის გარეშე. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მოცემულ პირობებში დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემა არის კანონსაწინააღმდეგო (საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ მსგავს პირობებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2003 წლის 24 ოქტომბრის №117 ბრძანებით საქმიანობის განხორციელებაზე გაცემული უარყოფითი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე უარი ეთქვა გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე სპს "მზეთას").

დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.21 პუნქტით არასწორად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზა წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისის №515 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მომზადებული და გამოცემულია ამ წესის არსებითი დარღვევის გარეშე. მხარის ახსნა-განმარტებით, საქმის სასამართლო განხილვით, საქმეზე დაკითხული სპეციალისტების (თეიმურაზ ტბელიშვილი, თენგიზ თენიშვილი, ნიკოლოზ ჭანჩაია, თეონა ქარჩავა) ჩვენებებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ეყრდნობა არასაკმარის კვლევებს, 25 წლის წინანდელ სტატისტიკურ მონაცემებს წყლის ხარჯისა და ნატანის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომ გზშ-ს ანგარიში შესრულებულია ტექნო-ეკონომიკური დასკვნის და არა მშენებლობის მუშა პროექტის საფუძველზე მაშინ, როდესაც გზშ-ს ემისიების ძირითად დატვირთვას სწორედ მშენებლობა განაპირობებს, რომ ჰესის მშენებლობა გზშ-ს 7.8.3.2 პუნქტის მიხედვით გამოიწვევს შეუქცევად პროცესებს, ხოლო გზშ-ს 7.8.3.3 პუნქტში მითითებული შემარბილებელი ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შეუქცევადი დეგრადაციის პრევენციას, რომ ძირითადი ზეგავლენა ეკოსისტემაზე მდგომარეობს წყალთან დაკავშირებულ ორგანიზმებთან, თევზებთან, ძუძუმწოვრებსა და უხერხემლოებთან, ხოლო კომისიაში არ შედიოდა ამ საკითხების შემსწავლელი სპეციალისტი. ამასთანავე, სასამართლომ ვერ დაადგინა თუ ვის მიერ იქნა შედგენილი ეკოლოგიური ექსპერტიზის კრების დაცვა, ვინაიდან როგორც კომისიის თავმჯდომარემ, ისე ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა, ნიკოლოზ ჭანჩაიამ განაცხადეს სასამართლოზე, რომ მათთვის უცნობია ის თუ ვის მიერ არის შედგენილი აღნიშნული დასკვნა. ამავდროულად, ეს დასკვნა ხელმოწერილია ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭანჩაიას მიერ, რომელიც არის კავშირგაბმულობის სპეციალიზით და დამთავრებული აქვს ასპირანტურა ჟურნალისტიკის განხრით. (იხ. 2012 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმი) სააპელაციო სასამართლომ მიერ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად შეფასებისას, სპეციალისტების ჩვენებების სათანადოდ შეფასებისას უდავოდ იქნებოდა დადასტურებული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონსაწინააღმდეგოდ და საქმისათვის არსებითი



მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და გამოკვლევის გარეშე, რაც გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველია და რაც სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვას მიუძღვნა 10 სასამართლო სხდომა და ამ სხდომებზე ცალსახად გამოიკვეთა და დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანების ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძვლები. (იხ. სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმები).

## შუამდგომლობები

შპ60\*შპ6A-17 შპ60\*შპ6A-18

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

\*\*\*\*\*

# საჩივრის ფასი

შპსი/შპსა-19

— არაქონებრივი ღარი

# სახელმწიფო ბაჟი

შპსი/შპსა-20

— 300 ლარი

## სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადებოზიტო ანგარიშზე: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ  არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).

5.

შპსი/შპსა-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ**  მორიგების პირობები:

**არა**  რადგან მორიგების ყოველგვარი მცდელობა მოწინააღმდეგე მხარის მიერ უარყოფილი იქნა.

შპსი/შპსა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპნოშპნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

## თანდართული საბუთების ნუსხა

შპნოშპნა-24 შპნოშპნა-25

დანართი 1: ამონწერი სამეწარმეო რეესტრიდან. 2(ორი) ფურცელი.

დანართი 2: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. 1(ერთი) ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 3

## საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**  
 სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	12/02/2013 წ.
ხელმოწერა	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

30603368-26